პროფესორ ზურაბ ჩხაიძის ხსოვნა
(01.1953 – 09.2012)

ზურაბ ჩხაიძე – სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი ეკონომიკაში, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი ინფორმატიკაში, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერების და ტექნიკის დარგში, საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი, განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი, რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი. სამეცნიერო ჟურნალ „ბიზნეს–ინჟინერინგის“ ელექტრონული ვერსიის მთავარი რედაქტორი. სტუ–ს „მართვის ავტომატიზებული სისტემების“ კათედრის პირველი გამოშვების კურსდამთავრებული, მისი ასპირანტი და დოცენტი. სტუ-ს „საბანკო საქმის“ კათედრის სრული პროფესორი, „ვი–თი–ბი“ ბანკი ჯორჯიას ინფორმატიკის სამმართველოს უფროსი.

ბატონი ზურაბ ჩხაიძე დაიბადა 1953 წლის 13 იანვარს ქ. ლანჩხუთში. საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრებისთანვე, 1969 წელს ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტზე. 1974 წელს დაამთავრა „მართვის ავტომატიზებული სისტემების“ სპეციალობა, იყო ამავე კათედრის ასპირანტი, მეცნიერ თანამშრომელი და დოცენტი.

1991 წელს ზ. ჩხაიძემ წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ინფორმატიკის სპეციალობით, ხოლო 2011 წელს – სადოქტორო დისერტაცია ეკონომიკის სფეროში. ამ ორი აქტუალური დარგის უაღრესად მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, ბატონი ზურაბი უკავშირებს თავის ცხოვრების შინაარსიან წლებს ახალგაზრდობის განათლებას და კვალიფიკაციის ამაღლებას, საბანკო ავტომატიზებული სისტემების სრულყოფას, ეკონომიკაში ახალი მეცნიერული მიღწევებისა და ტექნოლოგიების დანერგვის საკითხებს. მის კალამს ეკუთვნის ხუთი სახელმძღვანელო, მონოგრაფია და 50–მდე სამეცნიერო სტატია, აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და კონფერენციებში. იგი იყო არაერთი წარმატებული დოქტორანტის და მაგისტრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი.

უდავოდ დიდია ზ. ჩხაიძის დამსახურება, როგორც ინჟინრისა და ეკონომისტის ამ კომპლექსურ სფეროთა თანაკვეთაში. ამიტომაც მიენიჭა მას დამსახურებულად 1990 წ. საქართველოს სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში. არჩეულ იქნა „ბიზნეს–ინჟინერინგის“ ფაკულტეტიდან სტუ–ს უმაღლესი მმართველობითი ორგანოს, აკადემიური საბჭოს წევრად.

სამართლიანი, ჭეშმარიტად ქრისტიანი და მაღალჰუმანური პრინციპების დიდი პიროვნება, ბატონი ზურაბი იყო შესანიშნავი მეოჯახე კაცი, ორი შვილისა და ხუთი შვილიშვილის ბაბუა. 1974 წ „მას“–კათედრის სტუდენტთა ჯგუფის მივლინებისას პრაღის ტექნიკურ უნივერსიტეტში გაიღვიძა დიდმა სიყვარულმა ქალბატონ ნათელასა და ბატონ ზურაბს შორის, დაოჯახების შემდეგ კი ერთგულად და სამაგალითოდ გამოირჩეოდნენ, როგორც ქართული ოჯახის ტრადიციების დიდი პატივისმცემლები.

წავიდა ჩვენგან თავის საქმეზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანი, სამაგალითო ქართული ოჯახის თავკაცი, ჭეშმარიტად ღირსეული მამულიშვილი და ეროვნული ტექნიკური ინტელიგენციის შესანიშნავი წარმომადგენელი, რომლის სახელს დიდხანს არ დაივიწყებენ მისი მადლიერი შთამომავლობა, მეგობრები და კოლეგები.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი,
ჟურნალის რედკოლეგია